

საპარლამენტო ფრაქცია

„ქართული ოცნების“

პოლიტიკური პლატფორმა

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“ არის საერთო პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის შექმნილი საქართველოს პარლამენტის წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

ფრაქცია „ქართული ოცნება“ თანამშრომლობს ყველა იმ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ემხრობა როგორც პოლიტიკურ პლატფორმაში გადმოცემულ დებულებებს, ასევე სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან მისაღებ წინადადებებს.

ფრაქცია „ქართული ოცნება“ ესწრაფვის პოლიტიკური ძალების უმრავლესობის ურთიერთანხმობით და ხალხის ნებით ქვეყნის სამომავლო განვითარების პოლიტიკის განსაზღვრასა და მის შემდგომ განუხრელ განხორციელებას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება:

- ეროვნული კონსოლიდაცია, ქვეყნის შიდაპოლიტიკური სტაბილურობა და პროგრესი;
- კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა;
- მთავრობის, როგორც უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე; მთავრობის ფორმირებისა და გადაყენების პროცესში საპარლამენტო პოლიტიკურ ძალთა უმრავლესობის გადაწყვეტი მონაწილეობის შესაძლებლობა და ქმედითი კონტროლი მის საქმიანობაზე;
- პოლიტიკურ ძალებს შორის კონკურენციისათვის თანასწორი პირობებისა და ცივილურ ურთიერთობათა შეთანხმებული წესების არსებობა;
- ქვეყნის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენის შესაძლებლობა;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ოპოზიციის (საპარლამენტო უმცირესობის) ქმედითი მონაწილეობის გარანტიები;
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და მათი სრულყოფილი მუშაობა საკანონმდებლო და სახედამხედველო ფუნქციების განმტკიცების გზით;

- ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა და სახელმწიფოებრივ სივრცეში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია;
- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და საქმეთა გადაწყვეტის დამკვიდრება კანონის უზენაესობის პრინციპზე, ადმინისტრირების პროცესის სრული გამჭვირვალობა და მართლმსაჯულების საჯაროობა. პროცესის გაშუქების უფლება, საქმის განხილვისა და მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმების ღიაობა;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციონირების გამჭვირვალობა, პოლიტიკური ცენზურისაგან დაცულობა, სარედაქციო დამოუკიდებლობა და ფართო საზოგადოებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის სტაბილური საქმიანობის სახელმწიფო გარანტიების არსებობა და მართვაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების ფართო ჩართულობა;
- ამომრჩეველთა ნებისა და არჩევნების სამართლიანი შედეგის დადგომის შესატყვისი გამჭვირვალე საარჩევნო სისტემა, ამომრჩეველთა სანდო სიების არსებობა, საარჩევნო სუბიექტების ჯეროვანი დაფინანსება, მათთვის მედიის თანაბრად ხელმისაწვდომობა, ადმინისტრაციული რესურსის ნეიტრალურობა;
- სისხლის სამართლის პოლიტიკის პრევენციული მიზნების უზრუნველყოფა, ამასთან კანონმდებლობის ჰუმანიზაცია, არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების ფართო სისტემის დანერგვა;
- სასჯელალსრულების სისტემის გამჭვირვალობა და პატიმრების უფლებათა დაცვა, წინასწარი დაკავებისა და საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი პირების უზრუნველყოფა ადამიანური პირობებით;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმართვა, სწრაფი და ქმედითი რეაგირება ამ სფეროში დარღვევის თითოეულ ფაქტზე; პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის გაგრძელება სოციალურ უფლებათა დაცვაზე დაყრდნობით. სოციალური დახმარების მნიშვნელოვანი რეფორმის მიზნობრიობის გაზრდის, ბენეფიციართა ხელშეწყობისა და შშმ პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების განხორციელებისათვის საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება;
- არსებული საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის შენარჩუნება და დახვეწა. საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მოწყვლადი ჯგუფებისათვის. ჯანმრთელობის დაცვის საკანონმდებლო ბაზის განახლება, დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;
- შშმ პირების, ვეტერანების, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფების და უმუშევრების სოციალური დაცვა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა,